ხელშეკრულება № 00029
მომსახურების შესყიდვების შესახებ

AVTO WORLD LTD
Digitally signed by AVTO WORLD LTD
Date: 2019.09.27 15:58:43 +04'00'

ქ. თბილისი **27 სექტემბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი (ს/ნ: 206371077) (შემდგომში „შემსყიდველი”), წარმოდგენილი საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ირაკლი ლექვინაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს “ავტო ვორლდ AVTO WORLD" (ს/კ 405017235), წარმოდგენილი დირექტორის თორნიკე მიმინოშვილი სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის სარგებლობაში მყოფი ავტომანქანის (ა/მ „TOYOTA HIGHLANDER”, სახ. ნომერი CNC-208) დანართი N1-ით განსაზღვრული ტექნიკური მომსახურების გაწევა (CPVკოდი 50110000) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, 2019 წლის სახსრები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1239 (ათასორასოცდაცხრამეტი) ლარს.**
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე.
4.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია – შპს შპს “ავტო ვორლდ AVTO WORLD"- ის სერვისცენტრი.
5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
5.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2019 წლის 30 ნოემბრამდე.**

12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
ს/ნ: 206371077

ქ. თბილისი, ინგოროყვას N7

Digitally signed by Business Ombudsman of Georgia

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

„მიმწოდებელი“
შპს “ავტო ვორლდ AVTO WORLD"
(ს/კ 405017235)

საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
გრ.ფერაძის ქ., კორ. 5, ბ. 48
ბანკი: საქართველოს ბანკი
ანგარიშის ნომერი: GE89BG0000000492044900 GEL

დირექტორი

_____ ირაკლი ლექვინაძე

_____ თორნიკე მიმინოშვილი

დანართი N1

N	**შესრულებული სამუშაო**	რაოდენობა	განზომილება	ერთ. ღირებ (ლარი)	ფასი (ლარი)
1	რაზვალის გასწორება	1	ც	30	30
2	წინა ხუნდების შეცვლა	1	კომ	12	12
3	უკანა ხუნდების შეცვლა	1	კომ	12	12
4	სტუპიცის საკისარის შეცვლა (უკ.მარჯ)	1	ც	35	35
5	ჰაერის ფილტრის შეცვლა	1	ც	5	5
6	ავტომატური კოლოფის ზეთის შეცვლა	1	ც	35	35
7	ავტომატური კოლოფის ფილტრის შეცვლა	1	ც	35	35
8	წინა სუპორტის მ/დ, სამაგრი თითების აღდგენა	2	ც	70	140
				ჯამი	**304**

N	**დახარჯული მასალები**	რაოდენობა	განზომილება	ერთ. ღირებ (ლარი)	ფასი (ლარი)
1	წინა ხუნდები	1	კომ	180	180
2	უკანა ხუნდები	1	კომ	150	150
3	სტუპიცის საკისარი(უკ.მარჯ)	1	ც	150	150
4	ჰაერის ფილტრი	1	ც	55	55
5	კონდენციონერის ფილტრი	1	ც	60	60
6	ავტომატური კოლოფის ზეთი	7	ლ	30	210
7	ავტომატური კოლოფის ფილტრი	1	ც	130	130
				ჯამი	**935.00**
სულ შესრულებული სამუშაოს, მასალების და სათადარიგო ნაწილების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით					**1239.00**